თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N 3

ქ.თელავი 2018 წლის 12 მარტი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე შათირიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ვასილ არაბული, გიორგი ჩაბრაშვილი, უჩა ჭოტიაშვილი, გურამი წულუკიძე, ლელა მენთეშაშვილი, ლევანი ლილუაშვილი, ალექსი ძულიაშვილი

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს: თავმჯდომარის მოადგილე გიგა ორკოდაშვილი, სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე დავით ღაღანიძე, ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი ზურაბ ენუქიძე, ფრაქცია ქართული ოცნება-მრეწველების თავმჯდომარე ტიტე დარეჯანაშვილი, საკრებულოს წევრი არჩილ თვალიაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის: იურიდიული სამსახურის უფროსი ლევან ბერძენაშვილი, ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი თავბერიძე, ქ.თელავში მცხოვრები არჩილ მჭედლიშვილი

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:</u>

1. „თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №08 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვა.

მომხს.ა.შათირიშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, პირობებით აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულების, მონაწილის ბილეთისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს.ა.შათირიშვილი

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შ.პ.ს „საქართველოს ფოსტა"-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ პროექტის განხილვა.

მომხს.ა.შათირიშვილი

4. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბანში მდებარე 240 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობის ვადის გაგრძელების შესახებ პროექტის განხილვა.

მომხს.ა.შათირიშვილი

5. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მიხეილ ჯიდალიშვილისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ პროექტის განხილვა.

მომხს.ა.შათირიშვილი

6. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნიკოლოზ რინკიაშვილისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ პროექტის განხილვა.

მომხს.ა.შათირიშვილი

7. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შ.პ.ს. „საფეხბურთო კლუბი თელავი"-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, უპირობოდ გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ პროექტის განხილვა.

მომხს.ა შათირიშვილი

მოისმინეს: „თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №08 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვა.

აზრი გამოთქვეს: ზურაბ ენუქიძემ აღნიშნა რომ, დადგენილებაში მოხდა ცვლილება, კერძოდ:

მუხლი 5. ტერიტორიული კოეფიციენტი განისაზღვრა ქალაქ თელავისთვის და თელავის მუნიციპალიტეტის სოფლებისთვის,
მუხლი7. ნაცვლად ქალაქ თელავისა ჩაიწერა თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

გადაწყვიტეს: პროექტი „თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №08 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს განსახილველად.

მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, პირობებით აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულების, მონაწილის ბილეთისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ზურაბ ენუქიძემ აღნიშნა, რომ განსახილველად წარმოდგენილი ოქმები და ფორმები შემუშავებულია არსებული ტიპიური დოკუმენტების შესაბამისად, თუმცა ყველა ფორმაში უნდა მოხდეს ჩასწორება, კერძოდ საჭიროა რომ მითითებული იქნას მხოლოდ „თელავის მუნიციპალიტეტის მერია“, ხელმომწერის სახელისა და გვარის გარეშე.

-მოსაზრებას დაეთანხმნენ კომისიის წევრები.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, პირობებით აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულების, მონაწილის ბილეთისა და საკუთრების დამადასტურებელი

მოწმობის ფორმები, შენიშვნების გათვალისწინებით წარედგინოს საკრებულოს ბიუროს განსახილველად.

მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შ.პ.ს „საქართველოს ფოსტა"-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ პროექტის განხილვა.

აზრი გამოთქვეს: - ლევან ბერძენაშვილმა აღნიშნა რომ, შპს „საქართველოს ფოსტა" გასულ პერიოდში იყო კარგი გადამხდელი, მიმდინარე წელს თანახმა არის საიჯარო ქირის მომატებაზე, შესაბამისად წარმოდგენილ პროექტში გაზრდილი იქნა საიჯარო ქირის ოდენობა.

- ალექსანდრე შათირიშვილმა შპს „საქართველოს ფოსტა" -თვის უძრავი ქონების იჯარით გადაცემის საკითხი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს განსახილველად.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შ.პ.ს „საქართველოს ფოსტა"-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს განსახილველად.

მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბანში მდებარე 240 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობის ვადის გაგრძელების შესახებ პროექტის განხილვა.

აზრი გამოთქვეს: ალექსანდრე შათირიშვილმა აღნიშნა რომ, ქონების მესაკუთრეს აქვს შესასრულებელი პირობა რომლის ვადა იწურება მიმდინარე წლის 22 აპრილს, მიზანშეწონილი იქნება რომ, მერიამ მოითხოვოს მესაკუთრისგან ვადის გასვლამდე ასაშენებელი ობიექტის პროექტის წარმოდგენა, რის შემდეგაც მოხდება მსჯელობა პირობის ვადის გაგრძელების თაობაზე.

- დავით ღაღანიძემ მხარი დაუჭირა წინადადებას და გამოთქვა მოსაზრება რომ, შემდგომში პროექტის მოცულობის მიხედვით მოხდეს ვადის პერიოდის გაგრძელების განსაზღვრა.
- ლევან ბერძენაშვილმა აღნიშნა რომ, მესაკუთრეს აქვს ვალდებულება რომ აღნიშნულ მიწაზე ააშენოს სასტუმრო ან რესტორანი, რითაც შეიქმნება სამუშაო ადგილები და გაუმჯობესდება მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა.
- გიორგი ჩაბრაშვილმა აღნიშნა რომ, მეწარმისათვის ხელშეწყობა იქნება ვადის გაგრძელება, თუმცა გასათვალისწინებელია ის რომ მან გასულ პერიოდში დაარღვია დაკისრებული პირობა, რაზედაც გადახდილი აქვს ჯარიმა, ამდენად 22 აპრილამდე პროექტის წარმოდგენა და ამის შემდეგ მსჯელობა ვადის გაგრძელებაზე არის გონივრული გადაწვეტილება.
- წინადადებას ასევე მხარი დაუჭირეს: ალექსი ძულიაშვილმა, ვასილ არაბულმა და გიგა ორკოდაშვილმა

გადაწყვიტეს: მიეცეს რეკომენდაცია მერიას რომ, წერილობით მოითხოვოს მოქალაქე სულხან ხუცაიძესგან სააუქციონო პირობის ვადის გასვლამდე, ანუ მიმდინარე წლის 22 აპრილამდე, ასაშენებელი ობიექტის პროექტის მერიისთვის წარდგენა, რის შემდგომ მერიამ წარმოადგინოს წინადადება პირობის შესრულების ვადის გასაგრძელებლად, პროექტი ამ სახით წარედგინოს საკრებულოს ბიუროს განსახილველად.

მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მიხეილ ჯიდალიშვილისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ პროექტის განხილვა.

აზრი გამოთქვეს: ლევან ბერძენაშვილმა აღნიშნა რომ, მიხეილ ჯიდალიშვილს გასულ პერიოდში იჯარით მიცემულ ფართში ჰქონდა ცეკვის წრე, იყო კეთილსინდისიერი გადამხდელი, მიმდინარე წელს თანახმა არის საიჯარო ქირის მომატებაზე, შესაბამისად წარმოდგენილ პროექტში გაზრდილი იქნა საიჯარო ქირის ოდენობა.

- ალექსანდრე შათირიშვილმა დააყენა წინადადება მიხეილ ჯიდალიშვილსთვის უძრავი ქონების იჯარით გადაცემის საკითხი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს განსახილველად.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მიხეილ ჯიდალიშვილისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს განსახილველად.

მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნიკოლოზ რინკიაშვილისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ პროექტის განხილვა.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნიკოლოზ რინკიაშვილისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ პროექტის განხილვა.?

მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შ.პ.ს. „საფეხბურთო კლუბი თელავი"-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, უპირობოდ გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ პროექტის განხილვა.

აზრი გამოთქვეს: ზურაბ ენუქიძემ აღნიშნა რომ, განმარტებით ბარათში მითითებულია პირობის შესრულება: საინვესტიციო ვალდებულების „თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ბაზის შექმნა 250 000 ლარის განხორციელება" განვლილ 2 წლის მანძილზე, რეალობას არ შეესაბამება, ვინაიდან აუდიტის დასკვნაში და შპს „საფეხბურთო კლუბი თელავი"-ს ხარჯთაღრიცხვაში მოყვანილია რომ, 2016 წლის 1 აგვისტოდან 2017 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით მთლიანი ხარჯის ოდენობამ 469309 ლარი შეადგინა, აქედან საინვესტიციო ხარჯს წარმოადგენს მხოლოდ ძირითად საშუალებებისათვის გაწეული ხარჯი (იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი) 43247 ლარის ოდენობით, ხოლო დანარჩენი: სახელფასო-334 054 ლარი, საქონელისა და მომსახურეობის-92 006 ლარი - არის მოხმარების ხარჯი.

ასევე განმარტებით ბარათში ლაპარაკია მხოლოდ მუნიციპალიტეტის ვალდებულებებზე და არ არის აღნიშნული თუ რა განხირციელდება ფეხბურთის განვითარების კუთხით შპს „საფეხბურთო კლუბ თელავის" მიერ მიღებულ მიწის ფართსა და

მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებში (საკადასტრო კოდი 53.20.42.547), რომლის ღირებულება 1 533 100 ლარს შეადგენს. კერძოდ რა ინვესტიცია ჩაიდება საწვრთნელ ბაზაში, გასახდელებში, საშხაპეებში,სამედიცინო აპარატურაში. ამდენად მოთხოვილი ქონების კლუბისთის უპირობოდ გადაცემა მოითხოვს დამატებით შესწავლას.

-გიორგი ჩაბრაშვილმა აღნიშნა რომ, ქონების გადაცემა ხომ არ გამოიწვევს დანარჩენი სპორტის სახეობებში დაკავებულ სპორტსმენების დაზარალებას, რომლებიც სარგებლობენ ამ ტერიტორიით და კონკრეტულად რა შეიქმნება ფეხბურთის განვითარებასათვის.

-ალექსანდრე შათირიშვილმა აღნიშნა რომ, მოვიწვიოთ კლუბის ხელმძღვანელი და დაუსვათ კითხვები, რის შემდეგაც მივიღოთ გადაწვეტილება.

-ალექსი ძულიაშვილმა აღნიშნა რომ, შემოვიდნენ კონკრეტული წინადადებებით, შემდეგ გადავწყვიტოთ თუ როგორ მიესადაგება თელავის განვითარების გეგმას და ფეხბურთის აღმავლობას მოცემული ფართის გადაცემა.

-დავით ღაღანიძემ აღნიშნა, რომ ქონების უპირობოთ გადაცემა გამოიწვევს თელავის მაცხოვრებელთა სამართლიან უკმაყოფილებას, ამიტომ მოსათხოვია მეტი არგუმენტები.

-არჩილ მჭედლიშვილმა აღნიშნა რომ, ადრე უპირობოთ გაიცა სპორტსკოლა და ამ ქმედებამ დანარჩენი სპორტის სახეობა მოკლა, ამიტომ უნდა გადავცეთ პირობით და ისე რომ ჩაჯდეს ქალაქის განვითარების სტრატეგიაში.

-გიგა ორკოდაშვილმა აღნიშნა რომ, კლუბის მიერ მოთხოვილ ქონებაზე არ მდებარეობს არც ფეხბურთის სატურნირო თამაშისთვის შესაფერისი სტადიონი და არც ინფრასტრუქტურა, მისი უპირობოთ გადაცემა დადებით გავლენას ვერ მოახდენს ფეხბურთის განვითარებაზე. თუ გვინდა ფეხბურთის განვითარება კვლავ გადავცეთ პირობებით სტადიონი და შენობა, დავაწესოთ კონტროლი პირობების შესრულებაზე. ამდენად

მიზანშეწონილი იქნება რომ მერიამ დამატებით შესწავლოს ეს საკითხი.

გადაწყვიტეს: მიეცეს რეკომენდაცია თელავის მუნიციპალიტეტის მერიას რათა დამატებით შესწავლილი იქნას „საფეხბურთო კლუბი თელავი“-სთვის ქონების (საკადასტრო კოდი 53.20.42.547), უპირობო უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხი და შემდგომი განხილვისთვის წარმოადგინონ დასაბუთებული არგუმენტები.

კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე შათირიშვილი